897/3-113/22 2 02022022

897/3-113/22
02-02-2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
მამუკა წოწერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში საშენგელიოს უბანში ბუნებრივი არის მილების გაყვანის გამო გააქტიურდა მეწყერი. აღნიშნული ზონა მეწყერ საშიშია, არსებულ დასახლებაში ორი ოჯახი საფრთხის ქვეშაა და სასწრაფოდ საჭიროებს დახმარებას. სოფელთან მისასვლელი გზები იმდენ მოუწესრიგებელია, რომ შემოვლითი გზით სარგებლობის გამო დამატებით 10 კილომეტრის გავლა უწევთ სოფელში მისასვლელად.

გთხოვთ, სასწრაფოდ შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია როდის შეძლებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე

წერილის ნომერი: **24-242203446**
თარიღი: **03/02/2022**
პინი: **7502**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 02 თებერვალს შემოსული თქვენი N 897/3-113/22 წერილის (მერიაში რეგისტრაციის 02. 02.2022 02-2422033156-24)პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებს მოძიებას და დამუშავებას, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს.

აქედან გამომდინარე, თქვენს წერილზე პასუხი გეცნობებათ 10 დღის ვადაში ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-40 მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი